

0 2 6

შანი 10 ა.

0 2 6

0 8 0

30 ნოვემბერი  
1 9 3 0

N 44

ეროვნული  
ბიბლიოთეკა





პაველე თვალთმაქცაძე ხშირად იტყოდა ხოლმე თავისიანებში:

— პოლიტიკაში მოქნილი უნდა იყო. ტყველი გოდროით უნდა დაგჭონდეს და ნილაბი მუდამ უნდა გეფაროსო...

და მართლაც პაველე შენთან შენი იყო, და მასთან მისი.

— სულელი ვარ, ხალხი მივიმღურო? — ამბობდა ის. პაველეს ვერაფერს გაუგებდი — რას ფიქრობდა და როგორი შეხედულების იყო ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხის შესახებ.

ხან ასე ამბობდა, ხან — ისე.  
— სიფრთხილეს თავი არ ტკივაო, — იტყოდა თავისთვის.

თავის სიტყვიერ თუ წერილობით გამოსვლებს პაველე პოლიტიკურ „ამინდს“ უფარდებდა.

პარტიის გენერალურ ხაზს „თავგამოდებით“ იცავდა, როცა პარტიის ხელმძღვანელებთან, ან ისეთ პარტიულლებთან ექნებოდა ბასი, რომლებიც შეუღირვეკლად და ბოლშევიკურად ატარებდნენ ლენინურ პარტიის გენერალურ ხაზს.

— დასახვრეტია ყველა ეს მემარჯვენეები და „მემარცხენეები“. წყალს გვიმღვრევენ. აღმშენებლობაში ხელს გვიშლიან! — გაიძახოდა ის.

სამაგიეროთ პაველეს პრაქტიკა სულ სხვა იყო: მემარჯვენეებს ის თავისიანათ მიანდათ, „მემარცხენეებიც“ თავის კაცად სთვლიდნენ.

— სულთ და გულით თქვენთან ვარ! — ეუბნებოდა ის მემარჯვენეებს.

— მე ხომ მუდამ „მემარცხენე“ ვიყავი! — უმტკიცებდა ის „მემარცხენეებს“.

მაგრამ სიტყვას საქმე ესაჭიროებოდა.

ხუმრობა ხომ არ იყო „ორი კერპისთვის თავყანისცემა“. მას უნდა შეენარჩუნებია ერთგულება, როგორც მემარჯვენეების, ისე „მემარცხენეების“ მიმართ.

ამ გარმოებამ ის დააფიქრა.  
ერთ დღეს ის არაჩვეულებრივ მხარულ ხასიათზე დადგა.

— იცი, თამრიკო, რა მოვიფიქრე? — ალერსით მიმართა მან თავის ცოლს, — ხვალ ჩვენსას კრება უნდა მოვიწვიო მემარჯვენეების და „მემარცხენეების“. აბა შენ იცი, როგორი დიასახლისი იქნები! — და მან აუხსნა მას კრების მიზანი.

— ჰმ, თავო ჩემო, განა დღემდის ეს ვერ გავიგე? განა მემარჯვენეები და „მემარცხენეები“ ერთი თიხისაგან არ არიან გაკეთებული? — ამბობდა პაველე და კრებისათვის ემზადებოდა.

— მე თქვენი ველარაფერი გამიგია, — ეუბნებოდა ის მის ბინაზე შეკრებილ მემარჯვენე-„მემარცხენეებს“.

— რა გაქვთ თქვენ გასაყოფი? მიზანი თქვენი ხომ ერთია: პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა. განა ერთად ბრძოლა უმჯობესი არ იქნება?!

პაველეს აზრი ყველას მოეწონა.

— მართალია, სწორია, ხელი ხელს მივცეთ! — გაიძახოდნენ მემარჯვენე-„მემარცხენეები“, რომლებიც იმ დღიდანვე შიუდგენ ანტი-პარტიულ მუშაობას. მათ „ბლოკს“ დიდი ხანი არ უარსებია, მათი მოლაპატური მოქმედება გამოაშკარავებულ იქნა და „ბლოკისტების“ ხიზოლა დანგრია.


პაველე თვალთმაქცაძე სხვა „ბლოკისტებთან“ ერთად პარტიიდან გამოძევებულ იქნა.

— ვაი, ჩემო თავო, სად გამისლტა ფეხი, რა ცუდი ყოფილა მოლიკული გზით სიარული! — ცხვირ დამტვრეული ამბობდა პაველე და მიძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

ყუმბარა.



— კაცს ამდენი ბამბა ჰქონებია ყურეში და როგორ უნდა გავგო ამბავ ბამბის კამბანის თავის დროზე ჩატარების შესახებ?



— შენ არ მომიკვდე, ეგ ტეჰეზები ჩვენ არ გამოგვადგებოდეს, მაგრამ რას იზამ, იტყვი რამეს და გადახრას დაგწამებენ!

ასე წუწუნებს კაცი პორთფელით და პარტიულით და მას ბანს აძლევენ მთელი მემარჯვენე-„მემარცხენე“-„მომემარცხენო“ ორპირ-ორსოფ-ოპორტუნისტ-შემარცხებლები. დაიწყო ტურკისობის გაყვანა.

— გაგიჟდენ, პირდაპირ გაგიჟდენ ეს შემდგომი ამხანაგები, სად ჩვენ, სად ტურკისობი? ჩვენ გავიყვანთ ყმა-წვილო, ტურკისობი? შენც არ მომიკვდე, ეგ ტურკისობი ჩვენ დაგვღუპავს... წუწუნებს კაცი პორტფელით. დამთავრდა ტურკისობი.

— კი, მართალია, დამთავრდა, მაგრამ რა მერე? იმოღენა აქლემები ხომ დარჩენ უმუშევრად, რად გინდა რომ გადაყარო ამდენი აქლემები? — ისმის წუწუნი.

დაიწყო ტრაქტორისტროის მშენებლობა.

— ვილუბებით, მაგას ჩვენ ვერ ავაშენებთ და აუარებელი ფული დაგვებარჯება... სად შეგვიძლია ჩვენ ამისთანა გიგანტების აგება!..

დაიწყო ავტობტროის აგებაც.

— ახლა კი დავიმსხვრევით ნამდვილად...

დამთავრდა ორივე გიგანტი.

— დამთავრდა? აჰ, ვერ დავიჯერებ!.. რომ იყოს დამთავრებული.

ჩვენი ტრაქტორი და ავტომობილი მაინც არ იეარგებს, ბორბალი მოსძვრება...

— აღსდგა კოლექტივიზაციის ახალი, ძლიერი ტალღა.

— ახლა კი მოვისპეთ ნამდვილად.. კულაკები მტრად გადაგვეყიდებიან, გლეხებს მიიმხრობენ, მუშებს დაიანლოვებენ...

კოლექტივიზაცია ფართოვდება. გლეხობა მასიურად შედის კოლექტივებში. კულაკობა საბოლოოდ მოსპობის გზაზეა.

— გააგიჟეს გლეხები, ატყუებენ საწყობებს... რაღა ეშველება კულაკობას, ვინ აჰყივს პურს!..

ეწყოზა გიგანტი საბჭოთამეურნეობები.

— ახლა კი გაეთავდით! მაგის ნიადავი ჩვენში არ არის. დირექტორებს ვერ ვიშოვით, ტრაქტორები მიგვაკლდება, ტომრები დაგვაკლდება, აგრონომები გაგვექცევა...

იმარჯვებს სოციალისტური სექტორი.

— კი მაგრამ ე წერილი გლეხობა ხომ ისპობა! მთელი ღობეები გაარღვიეს, საქონელს აერთიანებენ, ღორებს პირველ ადგილს უთმობენ, ყველაფერს სახელმწიფო იგდებს ხელში, კერძო მეურნე სანთლით უნდა ეძებო... ახლა კი მშვიდობით, მოვიდა აღსასრული.

სადაც, ოფურჩხეთში ორადე გლეხი ვავიდა კოლექტივიდან.

— ა ბატონო! ხომ გეუბნებოდლი! გლეხობა მასიურად გამოდის კოლექტივიებიდან... ოფურჩხეთის მაგალითს ქვეყანა მიზაძავს... ოფურჩხეთი თქვენ რა ვგონიათ, — მოწინავე რაიონია...

სტალინის სახ. ქარხნის მუშებმა 18 დღის ნაცვლად 13 ნახ. საათში შეაკეთეს ორთქლმავალი.

— რა აჩქარებს, ვაჟო, ამ მუშებს, გააჭირვეს საქმე ამ თავისი ენტუზიანით! დეითქვი სული და ნელა იმუშავე, ვინ მოგდევს! სულ ერთია, ერთ ქვეყანაში მაინც არ აშენდება სოციალიზმი...

მუშები მოითხოვენ ეს პორთფელიანი მოწუწუნე — მემარჯვენე და და მისი ამხანაგები — „მემარცხენეები“ გაირიცხონ პარტიიდან.

— რას ერიით მაგ საწყობებს, — გაისმის შემარცხებელის ხმა, — იქნებ მართალი არიან: მართლა და რა ნელა, ეგ სოციალიზმი სად გაგვიქცევაჩქარებს, რა ამბავია ასეთი ტემპებით რომ მივქრით! მივყვეთ ნელა, მაგას კული ხელში არ გვიჭირავს!..

უკანასკნელი სიტყვები უკვე გარედან მოისმის, რადგანაც ამ შემარცხებელსაც უკეტავენ პარტიის კარებს.

ალლარ-ალლარსან.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

ისე ვადიდდი, დიდო ქალაქო, სიგრძე და განი აღარ გიჩნდება. ამაზე რაღა ვილაპარაკო, ჭოქეთ ვერვინ გამოგიჩნდება.


შაღეულს აქსოვ დიდუბის ველზე, ორთაჭალა კი — დაქსელე ბალით. ცა ზაშხის შუქს გაძლევს ხელზე, რა ლამაზი ხარ იცოდე ლამით!

კერ ნატანტარს თავის მიღები მცხეთის თავამდე დაუყვანია. შენი კინტო და მეწვანილები მუშკობს ნოქრებათ აუყვანია.

სირაჯებს კიდევ თუ ვახსოვს ოიპტი კილოგრამებით რომ ეცხო ქონი, — მათ ბურმარილმა ვასჭრა ძმა-ბიჭვი. ამჟამად ყველა მსახურობს მგონი.

ძველო ტფილისო, გიცვალეს ფერი, და ინდუსტრიის ავიდგეს ფეხი. გამოგაცვალა ძველი ელფერი. და მუზეუმად ხდება მეტეხი.

ბნელი-ოღლი.



— ფული მახსენე, ხვალ დ გიბრუნე! — მართია მოატყუე და მე რას შემისრულებ?

# ვის ეცინება, ხოლო ვის ეტირება!



კავკასური გზა

— საწარმოო-ფინანსური გეგმა, ამხანაგო, ყარამან, „პრომ-ფინპლანი“, აი, რა გაკლიათ თქვენ!

ეუბნება ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგი ინსტრუქტორი ყარამან უგელოძეს, ჩვენი ქარხნის წითელ დირექტორს, რომიოსაც სკეპტიკური შეხედულება ახასიათებს ყოველი ახალი წამოწყების მიმართ.

— ე-ე-ე, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მაგას იმდენი ფული უნდა, რომ თმა ყალყზე მიდგება!..

— მაშ, რა გზით გინდათ, ამხანაგო ყარამან, წარმოების წინ წაწევა?!

— მოიცა ერთი, სული მოვითქვით და...

მრავალ-მნიშვნელოვანად უარყოფს ყარამანი ერთი ხილის გაქნევით ამ ყოველად უმნიშვნელო ფრაზას უეჭველად ზედ დატანებით...

— „სულ მოვითქვით“ — რაა, შე კაი კაცო? სულს სწორედ მაშინ მოვითქვამთ, თუ ამ თავის ცხვირის საყოფ ქუჩურტანების ნაცოლად, დიდრონ მექანიკურ ვინტილიატორებს ჩავსვამთ კედლებში!..

უთხრა ამას წინად მთავარმა ინჟინერმა.

მაგრამ ინჟინერის გონივრული რჩევა ყარამანმა შორს დაიჭირა. ვინტილიატორების შესახებ ასეთი სკეპტიციზმი ყარამანისა კიდევ ძოსატყევებელი და შესაწყნარილობი რამ არის იმ ყოველად დაუშვებელ მიუტარებლობასთან შედარებით, რომელსაც ყარამანი იჩენს სხვადასხვა გაუმჯობესობათა მიმართ, მარტოოდენ ფულის დახარჯვის შიშითა და მომიზეზებით.

— მოიცა ერთი, თუ ღმერთი გწამდეთ, სული მოვითქვით და...

გაიძახოდა ის წაღმა-უკუღმა, თითქოს ეგ სულის მოთქმის ძლიერი სურვილი მას კუბოს კარამდე ასე უცვლელად უნდა მიჰყვებოდა, როცა უკვე მართლაც ზედმეტი იქნება ლაპარაკი ყოველგვარ სულის მოთქმეზე.

— არა, ამხანაგო ყარამან, „პრომ-ფინპლანი“ მანაც აუცილებელია, ისეთი მოზარდი წარმოებისთვის, როგორიც თქვენია. ტექნიკური გაუმჯობესებანიც ისევე ფრიალდე საჭიროა, თორემ უამისოდ ბრძიდ მოსიარულეს დამსგავსებით, რა თქმა უნდა, თუ ეს შეუღებლობით გჭირთ. ხოლო, თუ ამას შეგნებულად სხადიხართ, მაშინ ჩვენ ვემსგავსებით იმ მდიდარ განძეულობით მოვაჭრეს, კინტომ რომ მოატყუა.

და ამხანაგმა ინსტრუქტორმა მოუყვა ყარამანს ძველი ანეკდოტი იმის

შესახებ, თუ როგორ დანაძლედა ორი კინტო, როცა იმათ სრულიად შემთხვევით ჩაიარეს ერთი განძეულობით მოვაჭრე მდიდრას სახლის წინ, როცა ამ უკანასკნელს თავისი სახლის ფართო დერეფანში გაეშალა მდიდრული სუფრა და არხინად შეექცეოდა სადილს, ხოლო კინტოებს ამ დროს კუჭი ეწოდათ შიმშილით.

— ეჰ, რა კარგია ეხლა იმ სუფრაზე დროს ტარება — ინატრა ერთმა.

— გინდა, ეხლავე იქ გავჩნდე? — დაიჭადა მეორემ.

— მიჰქარავ! — მოუჭრა პირველმა.

— მოდი, სანაძლეო. დასდეს ნაძლევი.

მეორემ მოუარა სახლს უკანიდან და დიწყო კარზე მიწოდა. მსახურმა იქით გაგდება დაუწყო მოთრეულ სალახანას.

მაგრამ სალახანა ისე დამთმობი სრულიადაც არ აღმოჩნდა, მდიდრის მსახურს რომ ეგონა. იგი მიიწვედა „ხაზინის“ სახაზავად. ატყდა ერთი ხმაური, მდიდრის ყურამდის მიაღწია ამ ხმაურმა და ისიც ვადმოღვა სახლის უკან ამბის გასაგებად.

ამ დროს, მარცხენა ხელის ჯიბეში ჩაშვებით, კინტო წინ წარმოსდგა და თავაზიანად მოახსენა:

— „კნიაზ“,—ჯან, ნუ გამიწყურებით! ერთი რამე უნდა შეგეკითხოთ, თქვენ გამოცდილი კაცი ხართ და გთხოვ ამხსნათ: ამოდენი მარგალიტი რა ეღირება?

და „ხაზინის“ სახეზე აშკარა გაოგნების გამოსაწვევად კინტომ მოხერხებულად გაუწოდა წინ დამჯილული თავისი მარჯვენა ხელი, მარცხენის ჯიბიდან ამოუღებლად.

— აჰ, ამობრძანდით აქეთ, სახლში შემობრძანდით! — გაუთაფლდა და გაუტყაბა მდიდარი სახლის პატრონი ამ მოთრეულ სალახანას, რომლის მიმართ წყრომითა და რისხვით იყო აქამდის გადმომდგარი.

მსახურს ენა დაება მოსულის წინაშე და გზა უტია სახლისაკენ.

კინტოსაც ეს უნდოდა. მდიდარმა ხელი სტაცა მას და პირდაპირ დერეფნისკენ გაიტაცა, სადაც, ერთი მხრით — სტუმრებისა და მეორეს მხრით — იმ პირველი კინტოს გასაოცად, ქუჩიდან რომ ყოველივე ამას პირში ნერწყვი - მომდგარი უთვალთვალებდა, მიუწია წინ ნაირნაირი სასამელ-საქმელი და თავისი საკუთარი ხელით უწყყო გამასპინძლება, ისედაც დამწეულ კინტოს.

კინტომაც კისერი მამალივით წაი-

გრძელა, ჭამასაც მოუსყადაღა სანაძლეო უწყყო განიკლება მდიდრის ხელით მირთმეულ ხორავს.

როცა გაქდა და ღვინითაც საკმაოდ გამოტკირინდა, მდიდარმა ხელი მოხვია, თავის კაბინეტში დაიყვანა, რბილ სეარძელში ჩასვა და მეორე მხრითაც თითონ დაუჯდა.

— აბა, ახლა საქმეზეც მოვილაპარაკოთ — ყოველად სერიოზული და საქმიანი კილოთი მიმართა მან კინტოს, რომელსაც თავისი მარცხენა ხელი გაუხმრეველად ისევ ჯიბეში ედო.

— ჰო, როგორ შემეკითხე წელან? დაუსვა პირდაპირ კითხვა მოუთმენნელმა მდიდარმა.

— აი, ამოდენა მარგალიტი რა ეღირება-მეთქი?!

და კინტომ ხელმეორედ ასწია თავისა დამჯილული მარჯვენა ხელი, რომელიც ეხლა, წათამამებულმა, მდიდარს თითქმის ცხვირის წინ მიუტანა და თავებდურადაც კაი ხანს ასე ამ ყოფაში იქვე შეუჭირა.

— ჰო, ამოდენ და გაესინჯოთ — დაუყვავა მდიდარმა სრულს იმედში მყოფმა, რომ კინტოს ეს სანუკვარი მარგალიტი სწორედ იმ მარცხენა ხელში უჭირავს, ჯიბეში რომ უდევს, და, რომ ამ ძვირფასი ნივთის სრულიად უმნიშვნელო ფასადა ხელში ჩაგდება შეიძლება ამ მშვიერი სალახანისაგანო.

მაგრამ სალახანამ თავისი მოლოდინის საწინააღმდეგო პასუხიც ცხელ გულზე სწორედ ცივი წყალი გადაასხა მსუნავ მდიდარს.

— ეუჰ, აბა ამოსაღებად სად არის, ხაზინ-ჯან?!

— მაშ? შეკითხა ამ პასუხით დაფეთებული მდიდარი.

— მაშა და, იქნებ ვიპოვნო-მეთქი!

იყო კინტოს იმედის გამცრუებელი პასუხი.

მდიდარს ენა დაება და მხოლოდ აღმოფოთებული კაცის ყესტებით მიერეკებოდა თავებდ სტუმარს თავისი მდიდარი სამყოფელოდან.

— აი, ასეთი „იქნებ ვიპოვნო“ გამოვა, ამხანაგო ყარამან, თქვენი „ერთი დამაცადეთ“-ისაგან, თუ ის ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ არ შევსცვალეთ ამ თქვენს წარმოებაში რაიმე სხვა უფრო გონივრული აზრით.

დაატანა თავის ანეკდოტს ამხანაგმა ინსტრუქტორმა, რომელმაც მაყურებლებში სარკასტიული სიცოცხლი გამოიწვია, ხოლო ყარამანი კი მძმედ და მწარედ ჩაფიქრდა...

პაწირა.



ალო... ტრესტის სამმართველოს საერთო კანცელარია გისმენს.

—გელაპარაკები ვალოდია დარდიმანიძის ოჯახობა... ვალოდია ძლიერ ავად არის; სულ ოფლშია შეტურებული და აბიტომ დღეს სამსახურში ვერ მოვა. აჯობეთ მმართველს.

ეს ანბავი კანცელარიას ელვის სისწრაფით მოხვდა.

—მუცლის ტიფი იქნება!—წამოიძახა მემანქანე ქალმა, მიატოვა მუშაობა და ვანოს დაუწყო იმის მტკიცება, რომ ერთი მისი ნათესავი, სწორედ ისე გახდა ავად, როგორც ვალოდია, შემდეგ აღმოაჩნდა მუცლის ტიფი და კიდევ მოკვდა.

სიკვდილის გავონებაზე წამოდვა საქმეთა-მმართველი და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ვალოდია უსათუოთ გრიბით არის ავად.

ამის საწინააღმდეგო აზრი წამოაყენა ბუჰხალტერმა, ხოლო მოანგარიშე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ვალოდია შეპყრობილი იყო ტრობიკოლი მალიარით.

„კამათმა“ მწვავე ხასიათი მიიღო და, ვინ იცის, სახამდე გავრძელდებო-

და, რომ მმართველი არ შემოსულიყო.

—რაშია საქმე?—იკითხა მან.  
—ვალოდია ყოფილა მძიმე ავად!—ერთხმად მიაძახეს თანამშრომლებმა.

—სამწუხაროა. რაღა ესლა გახდა ავად, როცა თავი დაკვრელათ გამოაცხადა. გაოუძახეთ საეჭირო პუნქტს და გაუზავენეთ ექიმი!—გასცა განკარგულება მმართველმა.

\*\*\*

ვალოდია დარდიმანიძე აქ სცხოვრობს.

—კი ბატონო.—მოახსენა დარდიმანიძის ცოლმა და უცხო კაცს ოთახში შეუძღვა.

—ვინც მოვიდა გაუმარჯოს!—შესძახეს ექიმს და სტუმარი სუფრაზე მიიპატიჟეს.

—უკაცრავად!—ექიმა ბოდიში მოიხადა და მიპატიჟებაზე უარი განაცხადა.

—ნუ უშლით, აცო, თამადას ხელს. თუ უნდა, ქე დაჯდება, თუ არა—ქე წაე!—წამოიძახა მთვრალმა ახალგაზრდამ და ექიმს თვალები გადაუბრიალა.

—უკაცრავად, მე ძალიან ბოდიშს

ვიხდი, მაგრამ ძალიან მეჩქარება. ვალოდია დარდიმანიძის სანახავად გახლავართ მოსული; თუ არ ესტლები მგონი აქ სცხოვრობს!—და უცხო კაცმა თამადას მისამართი გადასცა.

—თქვენ ვინ ბრძანდებით?—შეეკითხა თამადა.

—მე დამხლევც საღროს ექიმი ვარ და...

—მართლა!—გაიკვირა თამადა და უცხო კაცს ხელი ჩამოართვა:

—ვალოდია დარდიმანიძე მე გახლავარ!

ექიმი შემოთოდა. თვალები ღვინით გაღებულს მოსაუბრეს მიაპყრო და მოკრძალებით უთხრა:

—არა, თქვენ არ იქნებით. ის მძიმე ავადმყოფია. ასეთი ცნობა მაქვს მის სასახეში.

—მე გახლავარ.—აქ გაუგებრობას აქვს ადგილი. გთხოვთ დაგვეპატიოთ!

ექიმა კარები ღერა გაიხურა.

—უზრელი!—ჩაილაპარაკა ვალოდიამ და მიორე საღღერძელოზე გადავიდა.

ტოქსინი

## ღია ფერის ღირსი ოკმარის ღირსი

მე არ დავიწყებ გრძელ ლექციას.

გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის

ყოველთვის თითქმის,

თუ ყური სავსე არ არის ბაზბით,

ანდა სხვა ამბით.

კიქებენ: სეზონს, დადგმებს, სპეცტაკლებს.

თუმცა წელს გესწრები წარსულზე ნაკლებ...

და ეს არ ვარჯა.

მაგრამ მე რა ვქნა! არ მომეცი შენ კონტრამარკა.

შარშან, შარშანწინ და ყოველთვის მქონდა ასეთი.

(გვაქვს ჩვენ ჟურნალი, გვაქვს ჩვენ გაზეთი).

შენც კარგად იცი (სხვებმაც აციან),

რომ შენს და სხვებზე გამოგვიცია

სპეციალური ნომრები ხშირად,

რაც დაგვეჯდომია ჩვენ მეტად ძვირად.

—ო-და, მოგვეცი კონტრამარკა, რომ განახოთ ხშირად.

და შენი ნახვა არ დაგვიჯდეს სხვებსავით ძვირად.

ადგილს არა გთხოვ. სადმე კუთხეს ავეტუზები.

თან ვინადირებ (მანდ დადიან ბლომად ტუზები).

თუ გი ქალები, ვილა-ვილა დადიან მუქათა

და კონტრამარკა მათთვის წელსაც აღარ გაუქმდა —

ერთი მითხარი, გაფიცებ მთავარ ადმინისტრატორს,

(და ამავე დროს ქალებში კარგ ორატორს),

რომელიც „შესავლელს“ აძლევს მთელ მილეთს,—

რატომ არ გვაძლევ ჩვენც ასეთ ბილეთს?

ტარტაროვი



კუანკარა-ომი, რომლის აგენტებს ამჟამად ასამართლებენ მოსკოვში.



# „ლავლი“ ანუ „გიგლია“

ნ ა ვ ი ლ ი მ ე ო რ ე

## მეთვრამეტე თავი

არის გახათავი.  
შემდეგ რა იქნება,—  
ჯერ ეს არ ითქმება!

გამოემშვიდობენ ებრაელნი სინაის ბთას;  
აღთქმული ქვეყნისკენ კვლავ გაუდგენ გზა.  
ეგვიპტიდან გასვლის ძეორე წელში,  
სამო ღლის შკაცრი ბრძოლების შემდეგ,  
როძლის იცით თქვენ უკვე შედეგი.  
რამდენიმე ღლის მგზავრობის შემდეგ,  
დაქანცულებმა დროებით შედგენ  
დასასვენებლად მინდვრათ ფარანისას.  
მენშევიკები განაგრძობდნენ აქაც თავისას.  
არ მოქმედებდა გავებითი წარსული მათ.  
ხმებს ავრცელებდნენ მოსეს ღლატზე.  
ყველა სისაძაღლეს ხალში ქადაგებდნენ,  
თეთრს შავათ, შავს კი თეთრათ ასალებდნენ.

— დიდი თავხედი კაცი უნდა იყოს,  
ასე ხეტილი ქვეყნათ რომ დაიწყოს!  
— ცრემლი რამდენი უჯდება ეს ხალხს  
ამაზე ვერვინ ბედავს სიტყვის თქმას!  
— საქონელი სულ თანდათან ძვირდება,  
რიგების სიგრძე ყოველდღე იზრდება!  
— მოსეს ღაყობას, როდესაც ისმენთ,  
გვიკვირს, ამდენხანს მას როგორ ითმენთ!  
— ის რომ მანანის გემოს ხალხს უქებს,  
მისი ულუფა ჩიტს გაასუქებს?  
— ამას გაუძლებთ, არაფერია, —  
ისიც ჩქარა თუ არ გამოგველია!  
— მიწის შესახებ დეკრეტი გამოსცეს,—  
სად არის ეს მიწა, — არავინ არ იცის!  
— ქანანელები ხომ არ მოგვეცემენ!  
— ვერც კი დასთვალა, იმდენი გვეცემონ.  
— დაუშვათ, მიწა მოგვეცეს საყოფი,—  
არ გინდათ მერე მისი გაყოფა?  
ხომ მრავალი გასვოთ ისეთი შემთხვევა,  
მიწის გაყოფის დროს სისხლი რომ იხთხევა!  
— ისმინეთ ჩენი, ჩენი ისმინეთ,  
— კმარა ამდენ ხანს რაც მოითმინოთ!  
დავბრუნდეთ უკან, უკან დავბრუნდეთ,  
ცოცხლად დარჩენა ვისაც კი გინდათ!

\*\*

მოსეს დეკრეტებს როცა იწუნებდნენ,  
ფარაონისას უხლა იწონებდნენ.  
— მიწა აღარ არის კერძო საკუთრება?  
აკრძალულია გაყიდვის უფლება?  
— ასეუ გამოდის, რომ კერძო საკუთრება  
სრულიად უქმდება!  
— მემკვიდრეობით რომ მიმიღია  
და შემდეგ ჩემით რაც მომიგია,—  
ის საკუთრება ჩემი არ არის?  
მონა მყავს მასში მე მოზიარეთ?..  
ეს რა წამომცდა... მონა მყავს მეთქი!  
მონობა მოსემ ხომ გააუქმა!..  
დაე, იარონ ყველამ უსაქმოდ:  
ერთის შავიერ ყველა ექვსი დღე მათ იუქმონ.  
— მოჯამაგირე თუ კაცს არა ყავს,  
ოჯახი ისე ოჯახს არა გავს!  
— ეტყობა, მოსე სულ გამოშტერდა,—  
ისე ამ დეკრეტს როგორ დასწერდა!..

\*\*

ასე, ამნაირათ,  
სხვა ათასნაირათ  
ვანუწვევებულად ხალხს ალელვებადია,—  
სუყველაფერში ბრალს მოსეს სდებდნენ.  
საკთხი მუდამ ასე ისმოდა,—  
ყველა კუთხეში ეს გაისმოდა:  
— მოგვბეზრდა, მოგვბეზრდა ქირივით,  
მინდვრათ ხეტილი, ვირივით!  
— ეშმაკმა არ იცის, საით მივყავართ,—  
გზა-კვალ აბნეულ პირუტყვებს ვგავართ!  
— როდის გველიოსება ჩვენ მოსვენება, —  
ცოლი ჩამომინა, როგორც მოჩენება!  
— ხორცს რა სუნი უღის აღარ მაგონდება.  
ამ პირობებში კაცს რა არ მოგინდება!  
— ვაიმე, დედაე! რა კარგი დრო გვქონდა!  
ხელიდან გაუშვით, — ჭკუა ჩვენ სად გვქნა!  
— გახსოვს, ბიჭო, დავითა,  
შალხაზა რომ დაითვრა?  
— მას რა დამავიწყებს!  
მისი მოგონება პირში მგვრის ნერწყვებს! ,  
— ყანწით ღვინოს რომ ვსვამდით!  
— მცვრიან მწვადებს რომ ვჭამდით!  
— ჭიქა ბრავი შაური ღირდა!  
— შეგედლო გისვა რამდენიც გინდა!  
— იგი იყო, ბიჭო, აღთქმული ქვეყანა!  
— ვაი, რა დრო იყო!  
— მოსემ ეს რა გვიყო!  
— ბარემ დაიქცეს მაგის ოჯახი!  
— ეს რა წაგვეკიდა საქმე საჯაყი!..

\*\*

ბოლოს მოსე ამ სანახავით  
გახდა ავით.  
ორი კვირა იწვა ღოგინში.  
საქმის გამოსწორების მოლოდინში  
დღე და ღამ იმას დარდობდა,  
თუ საქმისთვის რა სჯობდა.  
მტკიცედ გადასწყვიტა,  
რომ ხალხთან კავშირი არ გაეწყვიტა.  
შეუხტა ერთი კიდევ საწოლში,—  
ხსნა მოსახზრა რა მან... საბჭოში!  
აღარც აცივა და არც აცხელა:  
საბჭოები მან მოიწვია ხელათ,—  
როგორც ადგილებზე, ისე ცენტრალური, —  
რომ ედვენებით ყველაფრისთვის ყურია.  
ბიჭები ვინც იყვენ ცნობილი, ჩიეული,—  
საბჭოებში იქნენ არჩეული.  
რაც ხალხისათვის საჭირო იყო, —  
საბჭოში უნდა გარჩეულიყო.  
საბჭოს წევრები მოქმედებდნენ მოსესთან ერთხანად.  
შოლოდ არღვევდნენ მთლიანობას მოლოდინად და ელდადა.  
ერთს მენშევიკის გადაკრული ქონდა ელფერი,  
მეორე იყო, უსათუოდ, წმინდა ეს-ერი!  
ამ ორ მოლაყბის არსებობაც საკმაო იყო,  
კვლავაც სადაო ყველაფერი რომ გამხდარიყო!..

\*\*

დაუსრულებელი კამათი რომ კიდევ გააბეს,  
საშვილიშვილო საქმე ამით კილამ წააგეს!  
წინათაც ხდებოდა საქმის გამწვავება,  
მაგრამ მათ შორის იყო განსხვავება.  
თითქოს დაკარგა ხალხმა იმედი,  
რომ აღარ სწყალობს სრულებით ბედი.

ამას შეუწყო ხელი მან კიდევ:  
დამზვერავებმა მოიტანეს ყურძნის აკილო,—  
რაც მას მოწობდა უტყუარათ განა,  
რომ ახლოს იყო ალთქმის ქვეყანა!

მზვერავებმა კი, — ზოგიერთს გარდა,—  
ვერ მოიტანეს ამბავი კარგი.

— ალთქმული ქვეყანა ჩვენ ვიხილეთ საკუთარ  
თვლით,  
მარა მცხოვრებლები ჩვენ ამ ქვეყნის ვერც კი დაე-  
თვალეთ!

— ახლა ამ ქვეყნის არ იკითხავთ სხვა ვითარებას:  
იმით ქონებრივ და კულტურულ განვითარებას?

— ძალა-უფლება ხელთ უპყრია ბურჟუაზიას,  
და ევროპიდან ის განაგებს აქ მთელ აზიას!

— შეიარაღებულ სამხედრო ძალებით  
ჩვენ იმათ აბა სად შევადარებთ!

— იმათ თოფებთან ჩვენი თოფები  
გამოჩნდებიან, როგორც ჯოხები!

— ერთი მაგრათ რომ შემოგვიტონ, —  
სანაგრამოთაც არვინ დაგვტოვონ!

— რევოლუციის არსად არის ჯერ იქ ხსენება.  
ამის შესახებ ჭირივით სძულთ მათ გახსენება!

— სადაც ხორცი, პური აქვს ხალხს საქმელი,—  
რა დაგვრჩენია ჩვენ იქ სათქმელი!

— ჩვენ ამ ქვეყანას ვერ დავებატრონებით,—  
ვერც ძალით, ვერც ნებით!

— დავბრუნდეთ უკან, უკან დავბრუნდეთ, —  
ან ყველამ ერთად, ან უალკე გუნდით!

\*\*

მოსე კინალამ გადიტანა დარდმა.  
ამით ისარგებლეს ელდად და მოდადმა:  
ისინი შეუდგენ ხალხში მითქმა-მოთქმას,—  
აღიზიანებენ თითქმის ყველა მოდემას.

— ძირს ეს ბებერი!  
შებნდეთ ერთი, რას უგავს წვერი!

— გავწყდებით ყველა ტანჯვისგან წელში,  
სანამ ვიქნებით ჩვენ მაგის ხელში!

— ძირს საბჭოების ხელისუფლება!  
არ გვსურს ასეთი თავისუფლება!

— ეს ახალი წესი რომ მან შემოიღო,  
ხალხმა ამითი განა რა მოიგო?

— ა.ა.იისიანებს საბჭოებში თავი მოუყარა,  
ჩვენ სათოფეზე არც კი გავვიკარა!

— შეუჩვეველ ლხინს რომ სჭობია ჭირი შეჩვეული,  
მამა-პაპისგან ამ მცნებას ვართ ჩვენ მიჩვეული!

— ბელადათ ისეთი კაცი ავიყვანოთ,  
უკან, ეგვიპტეში ჩქარა წავიყვანოს!

— გირჩევთ ავირონს, ანა და დაფანს!

— მოსე, მაინც ხომ უღოს ძლიერს ჩვენი  
იესო ნაენი, გაუკაცი ქალებ  
აბრიალებდენ სიბრაზით თვალებს:

— ეგვიპტე, ეგვიპტე! — რომ დაგიჩემიათ,  
ნეტავი ვიცოდეთ, იქ რა დაგრჩენიათ?  
ამ ცულლუტების არ დაიჯეროთ  
და იმათ მხარი არ დაუჭიროთ!

იცოდეთ, ხალხო,—  
ალთქმული ქვეყანა აქ არის ახლოს  
ჩვენ იმას ხელიდან ეხლა თუ გაუშვებთ,  
სამარადისო შეცდომას დაუშვებთ!  
ვაუკაცურ სიტყვას იმაში გაძოვფეთ,—  
მტერს უსათუოდ ბრძოლაში დაესძიეთ!  
მათი ცხოვრების დრო მოქმულია, —  
წენი მზე ახლათ ამოსულია!..

რითი გათავდა ბოლოს ეს საქმე, —  
წერტილი დავსვა ხომ უნდა სადმე?

გათავდა ამით:  
პანღურისცემით  
ელდად და მოლად ხალხმა გაისტუმრა.  
მტრების ბანაკს ურიცხვად ისინი ესტუმრენ.  
და იქ განაგრძობენ  
საქმეს სამარცხინოს.  
ფიქრობთ, — რამეს გრძნობენ?  
ღმერთმა შეარცხვინოთ!..

ისეთი მაგარი აქვთ შუბლის კანი,  
ის სირცხვილის გრძნობას, დასშული აქვს კარი!..

\*\*\*


გაკვირვებული რას შემომტყერით?  
ჩემგან რაიმეს კიდევ მოელით?

ხო, მართლა, ეს მე რა მომივიდა!  
ალთქმულ ქვეყანაში როგორ მოვიდენ,—  
მოთხრობის ბოლო ისე შემიწყდა,—  
აშინ თქმა თქვენთვის ქე დამავიწყდა!

მაგრამ რათ გინდათ ჩემი გახსენება?  
აღბად წაიკითხეთ ერთი მოხსენება,  
ნათქვამია სადაც  
საუცხოვო სადათ:

„ხუთწლედს თუ ოთხში ჩვენ შევასრულებთ,  
ალთქმულ ქვეყანაში ფებს შევდგამთ სრულათ;  
შესრულება თუ გავიძინოდება,  
მაშინ გზა ცოტა გავვიგრძელებთ!..“

ს. თ.—ია.



# კოლიტიკური ანატომია



ოპერაციამდე



ოპერაციის შემდეგ



ოპორტუნისტი თავისი ცხვირით ანუ კულაკის უზრდა ოპორტუნისტში — სად არის კულაკი? მე ვერა ვხედავ!





ტყუპები

=====

ხელისმოწერა გაზ. „მუჟა“-სა და „ტარტაროზზე“  
= მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში =





## ზვიცვალა ადგილი, საქმი არის ადვილი. ზვიცვალა

ყოფ. მოსამართლე ალფრე ჭელიძე განა-  
ჩინებს ლეკლია და მწაფეებს და აღიკვედა  
ყალბ საბუთებს განთავისუფლების შესა-  
ხებ. მანვე მიიხატოთა სასამართლოს ინ-  
ჟინტარი. ამჟამად „ხვანჭკარა“-ს მამულის  
გამგეოდ არის.

ლენინი.



იყო ჭრებალოს ალფრეზი,  
კაცი ღვთისაგან სვიანი.  
მოსამართლე და მოწყალე,  
მსაჯული, ენაწყლიანი.  
უყვარდა განაჩინების  
სწორება ჭრთაშეზიანი,  
წაღება ინჟინტარისა  
ღამით როს იყო გვიანი.  
თვით დაჯდა სკამზე ბრალდების,  
მაგრამ ვერ მისცეს ზიანი.  
დაუძვრა სასამართლოსა,  
(გამოცდილია, ჭკვიანი).  
„ხვანჭკარა“-ს თავზე მოაჯდა,  
საქმეა მომგებიანი.  
ძლომითა გაძდა ალფრეზი.  
უძირო, გრძელ ჯიბიანი.

— : —

## აზი ჩვენი თავმჯდომარე კაცი არის მტად მზარე. ველის-ცინა

ოლმსკომის თავმჯდომარე გლეხებს ოხუ-  
შად ეპყრობა. მუშკორებს ემუქრება  
და აზინებს.


ლენინი.

აქეთ იატაკს ფეხს დაჰკრავს,  
იქით შეარყევს კედლებსო.  
საქმეზე მოსულ სოფელელებს  
ყველას უწოდებს „დედლებსო“.  
მუშკორებს ყურებს აუწევს:  
„ვინ მოვცათ ნება წერისო?  
წერილს ნუ გზავნით უჩემოდ,  
მე შემითანხმეთ ჯერ ისო!

## ჩვენი ნოქარი შიო, ესლა ზის გამსახლო. კუთისი

თეთრა-შივის ქუჩაზე გახსნეს კოლოპტრა-  
ტივი, რომილშიაც ნოქარი იყო ყოფილი  
ვაჭარი შიო. როგორც დახილოვნებულმა  
„სტეცმა“ ბლომად შესანსლა ფულები და  
ესლა გამსახლში ისვენებს.

თეთრა-შიწელი.



წინედ შეჩონდა მალაზია,  
კაცი ვიყავ შიო.  
გავკოტრა თა მე მოვეწყვე  
კოპერატივი შიო.  
ფულებს ხელი რომ შეგავლე,  
ვიდე ჯეზე შიო  
გემრიელი საქმელები  
ვგზავნე მუცელ შიო.  
ერთ დღეს მითხრეს: „გავცისწორე  
ანგარიში, შიო...“  
ჩამოხნელთა მზე და მთვარე,  
ვზივარ გამსახლ შიო.

— : —

## ინიკრონის საშვირსაო ვინ ამოღებს ალვირსაო.

სად. ტფილ ზის სანგარო.

სადგ. ტფილ ზის სანგარო. სწორების  
ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი რაზმაძე  
ზებეზად ეპყრობა თანამშრომლებს.  
მანლას.



გიორგი ზის და გაჰყვირის,  
თავის ამინდი ჰგონია.  
ფიქრებს ძვილ დროს, როდესაც  
მხრებზე ჩინები ჰქონია.  
ენის თქმას ვერვინ უბედავს,  
თანამშრომლებთან კუმტია.  
პასუხის ნაცვლად კითხვაზე  
მულამ მზალა აქვს მუშტია.

## აბა, ჩვენი მილიცია, ეს რა ცნობა მივიციცია? სოფ. ხოტავი, აზგროლაური

სპეკულანტი ილიკო გურგენიძეს ფინსაბ-  
კომის დაგლიანება ჰქონდა. ადგილობრივმა  
მილიციის უფროსმა ფინსანსპექტორს აქრო-  
ბა, თითქოს გურგენიძე ექვსი წელია წასუ-  
ლია სოფლიდან; თანაც არაფიქარი ჰქონება  
არა აქვს. ამავე დროს კი გურგენიძე სო-  
ფელშია; უფლის თავის მდიდარ სახლკარს  
და კოლექტივის წინააღმდეგ აგიტაციას  
გეზი.



ეს როგორ არის ვერ მივხვდი,  
როგორი სამართალია!  
ილიკო გურგენიძესთან,  
ნეტა, რამდენი დალია?  
არ გაცვლის თავის ილიკოს,  
თუნდაც მას დაღონ ბრალია.  
რა ვუყოთ მერე, რომ ილო  
კოლექტივიზე მწყურალია.  
ის უჩივრია მილოფროსის  
ყელი არ ქონდეს მშრალია.  
ფინსახკომს ფული ისეც აქვს,  
მოხმარდეს ქეფს ვალია!

— : —

## კოლმეტივი კოწია ვინ ეზამაკა მოწია.

სოფ. კვალთი, ზამტაფონი

კვალთის კოლმეტივი „ვაზში“ შეპარუ-  
ლია ძიელი პოლიციელი კოწია ავალიანი,  
რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის  
მენშევიკების წინაშედაც კომუნისტების ღე-  
ენასა და წამებაში. კაკუნა.

საქათმეში შესულიყო მელა,  
ქათმებს იწურნულებოდა ნელა:  
„შემიყვარდიო ხათითაოდ ყველა,  
დავიწყება თქვენი „ნე სუმელა“.

— : —

მე, კოწია, ხელობითა  
„ურადნიკი“ და ჩაფარი,  
ვმორჩილობდი ყანდარმთ სპათა,  
მისთვის ეხელობ, მისთვის მკვლარიო.  
დავუძღვრდი ამათ ხელში,  
კვლავ წამალი არსად არი.  
გაქურნება რომ მომეცეს,  
ვიქმ საქმესა ამა დარი:  
აწ ენა მინდა გამოთქმად  
რაც მიზნად დავისახეო.  
ძალი მომეც და შეწევნა  
დავფარო ჩემი სახეო.  
კოლმეტივი „ვაზში“ მოვეწყვე;  
უნდა დავუღვა მახეო.  
მგელი რომ ცხვართან ცხოვრობ-  
დეს,  
აბა, თუ ვინმემ ნახეო!

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი




ნახ. ვ. ლაშხის, ტფილისი.



ნახ. აღ. ჯაშის, ზრესილი.



ნახ. აბზიანიძის, კბბბბ-ჭინჭინჭი




— სახწრაფო დახმარება... სახწრაფო დახმარება! გეზმის? ხუთმეტრი წუთის შემდეგ მოგვეშველით, ვსადილობთ!


— ეს არის, რომ გაიძახიან—დამკვერლებს ვაჯილოვებთო? მაშ რატომ მომთავსეს შავ დაფაზე.—სიმულოინტი და ლო ი ხარო!

— ნეტავე როდის გაიღება ჩვენი სამკითხველო?  
— როცა დაღამდება; ახალგაზრდობა საარშეოდ აქ იყრის თავს.

ნახ. კვეციშვილის, გორი.



ნახ. კოპალიანის, ცაგერი.



— რა გაყვირებს?  
— ვერა ზღავე, სწერია—„საყვირი“.

— ჩემო ღრუტუნებო, ფეხზე ადგომით პარტივი ეცით აღმასკომის განსვენებულ უკრადლებას, რომელმაც კლუბი თავშესაფარად დაგვითმო!

ხენაკი—მ. გოგია.


ნახ. ნინუას, (საბტრ. რაიონი).



— რად აგიკრავს ცაცო მაგ უბები?  
— მეშინია, სადგურის უფროსის ყვირია. ღისაგან უკრები არ მტკინოს!

— დეღლო, იმ სტუმარს რატომ არ დაუკალი ჭათამი?  
— შვილო, ჭათამი რომ დაბეკლა, კოდევ მესტუმრებოდა!

— ხაიდან დაგესია, ბიჭო, ამოდენი შატლები?  
— ჩვენ კომპერატივში ნაყიდი ჭოშნიში მიყრია ჯიბეში და იქიდან თუ ამოძვრენ!



ნ ა მ ო მ ა მ ს      ვ ა რ ა      ნ ი

— „ტოვარიშხებო“, ესლა მე მათ-  
ქმევიანეთ „რეჩი“, რალა?  
— სთქვი გენაცვა, კოლა-ჯან!  
— ვილებ ამ პატარა სტაქანს, რო-  
მელშიაც ჩადის მხოლოდ ნახივარი  
კვარტი ოიონი და ვაღლეგრძელეზ  
ჩვენს საყვარელ მილიციონერს, რო-  
მელიცა რომა ავჯრ დიას თავისთვის,  
არ გვიშლის ქეიფს... იცოცხლე გე-  
ნაცვა!  
— გმადლობ!  
— მოდი რალა, დალიე შენც კოთი  
სტაქანი, სამადლობელი მაინც მიირო-  
თვი!  
— გმადლობ ჩემი დღეგრძელობი-  
სათვის, ვაამით ქეიფი.  
— აბა, თამადა, ახალი ტოსტი  
სთქვი!  
— ეს შაუნდოს ამ ვანქის ეკლე-  
სიის გალავანში დასაღ ლავებულ ყვე-  
ლა მიცვალებოლებს. მათ მოსვლამ-  
დე არაფე ი გეტკინოსთ.  
— აი, იცოცხლე! ძალიან კარგი სა  
დღეგრძელოა. განა ჩვენ კი არ მოე-  
კვდებით, სანამ ცოცხალი ვართ ვი-  
ქეიფოთ, ვსკათ, იროგება გავატა-  
როთ, სომ გავიგონიათ გამოცანა:  
„რასაც შესჭამ შენია, რაც არა და-  
კარგულია“.  
— ეს გამოცანა კი არა, ანდაზა!  
— ნუ ანდაზა იყოს „კაკიო რაზნი-  
ცა“.  
— კარგი რალა! თქვენც ასტეხთ  
ხოლმე აყალ-მაყალს უბრალო რამე-  
ზე. ღვინო დალიეთ ვისაც შო  
გაქვთ. აბა, თამადა ახალი საინძელო  
მიიროთვი.  
— ეს გაუმარჯოს აი, ამ ჩვენ გლე-  
ხებს, რომლებმაც ღვინით ააფესეს ვან-  
ქის ქუჩა და მისი ეკლესიის გალა-  
ვანი. ვენაცვალე მე მათ მარჯვენას.  
— რიგიან-პირიანათაც რომ ჰყი-  
დიან: ორი მანეთი კვარტი! მუჭითია  
მაშ რა!  
— შენ ეგა სთქვი და! მაშ იცოც-  
ხლეთ, ამხანაგო გლეხებო! გაგიმარ-  
ჯოსთ ყველას, ჩემთვის სოო ერთი  
ხართ, თუ არ ხართ, მაინც ყველამ  
იცოცხლეთ.  
— გმადლობთ, გმადლობთ!  
— აბა, არლანი, არლანი; აბა, ბე-

დნი გეურქაჯან, გადატრიალე მამა-  
პაბურად.  
— ვერა განაცვა; ჩემს არლანს  
„ქრუქინა“ მოეშალა.  
— მთელი დღეა განუწყვეტლივ  
უკრავ, მაშ რა მოუვიდოდა?  
— გამიშვითი, გამიშვით, ბებუ-  
თით გაოოდრავ გულს.  
— მოიცა, მოიცა, კაცო, ცოდვაა,  
რა დაგიშვა!  
— როგორ თუ რა დამიშვა, მე  
გუშინ სამასი მანეთი მომიგო და ჯი  
ბეში ჩაილაგა, დღეს რალაც ასი მან-  
ეთი მოუგე და იმასაც აღარ იძლე-  
ვა?! შუე დო დავაყენებ, გამიშვით!  
— მოიცა, კაცო, გამაგებინე, განა  
აქ თამაშობაც არის?!

— არის და მერე როგორი!  
— რას თამაშობენ?  
— ბაი-ბურთ, თამაშობენ; გააგო-  
რე კამათელი, მოგივა დუშაში —  
გიყვარდეს ფე რები ჯიბეში.  
— ვა ეს რა ადვილი რამე ყოფი-  
ლა!  
— მიშველეთ, თავი გამიტეხა ამ  
ოხერმა.  
— იინა, კაცო, რას გერჩეოდა?  
— აი ამ გურჯანელმა იოხმა.  
— თაი! ვაგიტეხ კი არა, სულ  
მოგჭირი, თუ ფული არ გქონდა რას  
სეამდი იმ ღვინოსა? კაცოო, სამი ამ-  
ხანაგი იყენენ; დილას აქეთ სმენ,  
ათი კარტი ღვინო დასცალეს, ბო-  
ლოს სთქვეს ფული არ გვაქვს, ჩვენ-  
ზე დასწირეო. მი წერა არ ვიცი და  
ამიტომ ამ კომბალიტ თაუსვა შუბლ-  
ზე გჯვარი.

(გაგრძელება იხილეთ ვანქის ეკლე-  
სიის გალავანში)

ქველი.

### ნიგვზიანი

მაწუხებს ფიქრი სცენაზე, კლუბზე  
რა ეშველება, თუ თავს ათოვას!  
არა და ვაგებს ვაგვრა წკიბურტი,  
ვიცი, რომ ესეც სახიფათოა.

უთხრა, რომ წვიმა ჩამოდის შიგა,—  
იქნება გასწვრა და გამებუზა,  
ან და ნაცარში. კრა მძლავრად წიხლი,  
აქცია ბღღვირად, მტვრათა და ფუტად.

სომ დამავიწყა წარმოდგენები  
და მისი ძალზე დაგვიანება.  
დახრილი ფარდა, ხალხი, ლოდინი,  
ვანწობილებულთა თვლენა, მთქნარება

ამასთან ერთად მადონებს ფიქრი:  
კოლის ელი გვაქვს მოვლილი გონჯად;  
ქისივე გვერდით აქ დაღუპული  
ერთი მექტარი წმინდა იონჯა,—  
გასთელა ფეხსავე ქვეყნის ღორებმა,  
აუღებო და მოუცელოვი,  
ჩვენში არ დარჩა ისეთი კაცო,  
რომ შეეწუხა ამაზე თავი.

ნეტავ ვიცოდე, ვინ ავებს პასუხს,  
არტელის გამეგ თუ ბრივადირი,  
რომ მომავალში არ ღარჩეს ასე  
და საქმისკენ ჰქონდეთ მათ პირი!

მანუჩარ.



ღვინის ყიდვა ბაზარში



### გოგინას სიზმარი

გოგია ღარიბი გლეხი იყო. ის სცხოვრობდა კულაკ სიკოს მეზობლად.

ერთ დღეს კომკავშირელები სოფელში დადიოდნენ და წერა კითხვის უცოდინართა სიას აღგენდნენ.

— არ გაგიწყრეს ღმერთო, არ ჩაეწერო, თორემ დღილუბები, ვინც წერა - კითხვა არ იცის, აქედან ციმბირში გადაასახლებენ! — უთხრა სიკომ გოგიას.

გოგია შეშინდა. დაღამებული იყო, როცა გოგია სახლში დაბრუნდა... სძინავს გოგიას...

აგერ გაღაგანთან ხალხის შუაში ჩამდგარა მამასახლისი, გულზე ჯაჭვი ჰკიდია.

— აბა, რავე ეგონათ იმ კომუნისტებს, დიდხანს ვაბორძიკებდით? — ამყაყად ამბობს ის და თან ხალხს ათვალეირებს.

გოგიას გაუკვირდა და იკითხა: — რაშია საქმე? რა მოხდა? — რა მოხდა და, ძველი მთავრობა დაბრუნდა.

გოგია გაცეცხული დგას. კულაკი სიკო წვერებს იგრებს. — დაბრუნდენ, მაშ დაბრუნდენ! — წამ და უწუმ იმეორებს ის და თან ვილაცას ათვალეირებს.

ბოლოს მამასახლისის რაღაც ჩაუფუჭუნა, მამასახლისმა გოგია და სამი წერა - კითხვის უცოდინარი გლეხი კანცელარიაში შეიხმო.

— აი აქ დაუსვით ჯვარი, რომ თქვენ წერა - კითხვა არ იცით! — უთხრა თვალუბის ბრიალით მამასახლისმა გლეხებს.

მეორე დღეს მამასახლისმა გოგიას გამოუცხადა, რომ ამ უკანასკნელს (გოგიას) 300 მანეთი ვალი უნდა გადაეხადა კულაკ სიკოსათვის.

— რისი ვალი?! — იკითხა გოგიამ. — აი საბუთი, შენ მიერ არის დასმული ჯვარი — ძველი ვალი გმართებია მისი! — დაიღრიალა მამასახლისმა.

— სტყუი, შე არამზადავ! — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა გოგიამ და...

— რა მოგივიდა, კაცო, რა გაყვირებს? — უთხრა ცოლმა, რომელსაც მის ყვირილზე გამოეღვიძა.

— არასფერი, ისე! — წამოილულულა გოგიამ და თვალები გაახილა.

— ბიჭოს სიზმარი ყოფილა, წამოიძახა განარებულმა და ზეზე წამოღდა.

— ჩამწერე თუ კაცი ხარ წერა-კითხვის სასწავლებლად, ვისწავლი წერა - კითხვის და მერე სადაც გინდათ იქ გადასახლეთ! — უთხრა გოგიამ კომკავშირელ ვანოს, რომელიც წერა - კითხვის უცოდინართა სკოლას ხეომძღვანელობდა.

— სად უნდა გადასახლოთ? — გაკვირვებით შეეკითხა ვანო გოგიას.

— რა ვიცი, ამბობენ — ვინც წერა-კითხვა არ იცის, ციმბირში ასახლობენო.

ვანომ გოგიას ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა. გოგიამ სიხარულისაგან ქული ქერში ააგდო და ერთიც მაგრად შეუკურთხა კულაკებს და ხუცისებს, რომლებმაც ასე სასტიკად მოატყუეს.

გირგელოსანი სოსო.

პელ-ტენიკუმში, გაიხსნა „ბაზრობის“ სეზონი: მასწავლებლები „კორელიაციისა და საგნის მთლიანობის“ ინტერესებიდან გამოდიან და მოითხოვენ სამ განაკვეთ ნახევარს.

აბელ კიკვიძე კატეგორიულად აცხადებს: — ხვალიდან მე გაკვეთილებზე არ შევდივარ, თუ გაკვეთილებს მომიკელით, რადგან ეს „პედაგოგიური“ თვალსაზრისით ჩემი ჯიბისათვის მავნებელი არის!

„ბოროტი ენები“ ლაპარაკობენ, რომ „ბაზრობის“ სეზონი მალე პროფტენიკურ სკოლაშიც გაიხსნებაო, რადგან მადგახსნილ მასწავლებლებს 500 მანეთი ელანდებოთ და ამიტომ 60 გაკვეთილის აღებასაც კი არ ერიდებიანო.

სკოლის გამგე ცხადია განაცხადა: გაკვეთილებზე ვაჭრობის სეზონი გახსნილია და მის დამთავრებას იოლად გადავსწვევთ, თუ განათლებს განყოფილების გამგე ტიტე დოლიძე საქმეში არ ჩაერიაო, რადგან აღნიშნული ამხანაგი სკოლებთან „დაახლოვების“ მიზნით (თუ ჯიბის გასქელების!) ყველა სკოლაში გაკვეთილებს იღებსო.

კლუბის საქმეებიც არეულ-ღარეულია. პროფაქტივმა გამოყო კომისია. რომელსაც დაავალა საკლუბო მუშაობის სახეების შემუშავება პართი კვირის განმავლობაში. პართი კვირის შემდეგ შეკრებილმა კომისიამ გამოყო პართი კაცი, რომელსაც დაავალა აღნიშნული საქმის შესრულება პართი კვირის განმავლობაში. ლაპარაკობენ: პართი კვირის შემდეგ გამოყოფილი კაცი მოიწვევს კომისიას, კომისია კი — პროფაქტივს, პროფაქტივი — მუშა-მოსამსახურეთა კრებას, რომელიც აირჩევს გამგეობას რომელსაც დაევალება გიგმის შესრულება. მოსამზადებელ მუშაობას დაახლოვებით მოუნდება სამი თვე. ნიშაღური.

### ქარხნის გოღება

(საჭილაო)

ყველა ქარხანა წინ მიდის, გეგმა დაზგამდე მივიდა, მე რას ვაშავებ არ ვიცი, ნეტავი რა მომავიდა?! მუშა ნოღია მომიხსნეს, ვანომ აწამა მტრობითა, ბოლოს გამართლდა პროკოფი, და აღიჭურვა ნღობითა.. ნაცდურ დღეების აილო, ვის ვმულვარ ნეტავ მათთაგან?) შვიდასი რომ მიუთვალე, ცრიმლი წამიდანა თვალთაგან. ბრაგუნა.

სოფი

ეპოს სასადილოს გამგე ეზეკია მართალია, მაგრამ დამნაშავე კია.

მართალი, რო იყო, საქმისათვის არ კმარა, უნდა შორს გაჭვრიტა, ტრიალი, ვით ჯარა.

ოცდა ერთ ოქტომბერი დილა ადრიაანად ეზეკია მიდის დინჯათ, აზრიაანად შევიდა და ნახა რაც მას არა სურდა სალაროში დახვდა რამდენიმე ხურიდა.

შვიდასი წაელოთ გამგეს ეცა ელდა; გული შეულონდა, თვალი დაუბნელდა.

ერთი ამბობს: — ქურდი

არის შინაური; უნდა გამოვტყუოთ ავუწიოთ ყური! მეორეს არ სჯერა:

— ეს არ იცის ხონმა.

მესამემ ზე შეჭბტა „ამისმა გამგონმა“:

ღამით ალბად ქურდი შეიპარებოდა,

სასადილო როცა დაიკეტებოდა.

რა მაგარი იყო ეზეკიას კასა.

ამოილო ფული და გაუდგა გზასა.

ფული უნდა მივცეო შემნახველ სალაროს რომ მოღარე — გამგემ თავი დაიფაროს.

ფასკუნჯი.

### „სამეგზო-პროსაგა“

(სოფ. სხვადა, რაჭა)

ყური დამიგდე, ტარტაროზ, აქ ბოროტება დიდა. ამ სოფლის ხორცმეტ ლასიკოს ყველა ფეხებზე ჰკიდა. გლეხს რაც რომ უნდა ვერ უთქვამს იმისი გადამკიდა. თოფ-იარაღი ბლომად აქვს, ექადის ყველას მითია. გაამათრახე, ტარტაროზ, შე ვისზეც მომითითია, სხვავის ლომ-ვეფხვად ცნობილი, მთელი სოფელი მისია; მან გაიყოლა სკოლიდან მოწაფეების ნისია.



— წამოდი ჩქარა კომისარიატში!  
— წახვლა რომ შემეძლოს კომისარიატ-კი არა ჩემს სახლში წავიდლოდი.

ლასიკოს აენ-ჩაენი გავიცნოთ ვანო ლანდია; ქერივ-ობლებს ააწიოკებს, რადგან გულითა სწადია. ლანდია უნდა ავლავმოთ, სოფლისთვის მეტი ბარგია, ყოველი მხრიდან წამხდარი სილოსისათვის ვარგია.

მესამე გმირი, ტარტაროზ, პეტრიაშვილი სერგოა, რომელსაც თქვენი მათრახე ლატარიაში ერგოა.

პეტრიაშვილი სოფელში ზნე დაცემული კაცია; უყვარს ზედმეტი ინტრი-ბიზნისში—პრავაკცია.

სხვაველი.

ახირებული ხალხიაო, სწორედ ბალდალის გლეხობაზე ითქმება.

სერგო მერმანიშვილმა ბევრი ცოდვები ჩაიდინაო, რა ცოდვაა, თუ კოოპერატივში ნოქრობის დროს რაღაც 650 მანეთი გადამცდა ყელში. მერე და თავმჯდომარე ძოწენიძეს ხომ გავასაღებავ ვალის დასათარავად ძმარი ღვინო!

400 მანეთი დარჩა კიდევ ჩემზე, მარა განა ამის პატიების ღირსი არა ვარ ისეთი მოღვაწე კაცი, რომელმაც გოგსადის ქალი ვიმსახურე ოჯახში რ თვე და ფულის მიცემის ნაცვლად სამსახურში მოვაწყე!

კულაკების და ვაჭრების დაბეგვრის საკითხი თუ ვინმემ დასვა, შემწვარ გოჭს შავი ღვინით ჩავენრაშუნებ.

დედა და რძალი ექიმბაშები მყავს და ავანტყოფ გლეხებს დიდხან არ ვაკენებ, დროზე ვასაღებთ წუთისოფელს.

მე როგორც „სოიუზტრანსის“ სადგურის გამგე, ავტომობილზე პირველ რიგში ნაცნობ-ნათესაებს ვაჯენ და პატივს ვცემ.

სამაგიეროთ მათგან მიღებულ ფულს, უსაბუთოთ ვღებულობ და ჩემს ჯიბეში ვიციბ; ნანცობ-ნათესავი ამ შემთხვევაში არ გამცემს და მუშგლეხინში არ დამაბეზღებს, ისე, როგორც დღემდე არავის დაუბეზღებია კოლიე სულაძე გლეხების ცემატყევისა და იარაღის ტრიალისათვის.

ჰო, და, ამის შემდეგ ჰკითხეთ ბალდალის გლეხობას, ახირებული თვითონ არიან თუ მე?

ტარტაროზს მივანდოთ ამის გამო-რკვევა.

მორიელი.

### გოდება ბირჟის გამგისა

(პიათურა)

ბირჟისა გამგე გახლავარ ერთხმად ამორჩეული; ამოწეული მუშა ვარ, ახელოსნოდან წვეული.

რა გასაჭირში ჩავარდი აქეთ რათ ვქენი პირია? საყვედურები ათასი, ლანძღვა-გინება ხშირია.

ერთად - ერთი ვარ, დამაწვა მე საქმე უშველებელი: გამგეც ვარ, მწერალ-შიკრიკი, ქალაღის დამტარებელი.


შემადგეს ასეთ ოთახში, სულის თქმა ერთობ ძნელია. არვინ კითხულობს ჩემ საქმეს, არსად სჩანს ჩემი მხსნელია.

ათასი შუამდგომლობა პირადი, წერილობითა. ჰყრია იქ ინსტანციებში უძრავად, მრავალ წლობი-კარგი, ჯანაბას, არ მინდ არა ვსთხოვ დანმარებასა,

არცა დიდებას, სახელსა, არც ძეგლებს, ქებათ-ქებასა, მაგრამ ყოველდღე პაჭკობი-რად მომდის წერილებია?

მთხოვენ: „გაუშვი საქმეზე ჩემი ძმა, ნათლულ-ბებია“ რა გასაჭირში ჩავარდი!

აქეთ რათ ვქენი პირია? საყვედურები ათასი, ლანძღვა-გინებაც ხშირია... გოგია.



### გ მ ღ მ რ ი

საქიანის მემკობრის (სამტრედია). ვინაიდან წლია აოლომდე (ერთი თვე დარჩენილია) გამოვა „ტარტაროზი“-ს 4 ნომერი, ხოლო თქვენი ქასალა ისეთი დილია, რომ არ მოთავსდება ამ წლის დარჩენილ ნომერებში, ამიტომ იძულებული გახდით ხელი აგველო მის დაბეჭდვაზე ა ბოლომდე წაკათხვებოთ. შაირია ამაღ კარგი ნაგაჩნობას დახარჯულ ქალაქისა და შრომის დაკარგვის გამო, უკანვე გიგზავნით თქვენს მასალას. (ვაშლი ბინეთ აბაში დაგვეხარჯა გამოგზავნაზე, ვიდრე გოდორი ამოგვესო ერთი მასალით და შიგ სხვებისთვის ბინა არ მიგვეცა). გირჩევთ, წაიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“-ს წინასიტყვაობა, სადაც სწერია:

შაირია ამაღ კარგი.  
შაირია ამაღ კარგი.

**შ. დ. ნიშვილი** (მოლითი) თქვენზედაც იგივე ითქმის, რაც ზევით ბზიკის მეგობრის მიმართ ვსთქვით.

**შავშულს** (ქუთაისი) სარეწაო კოოპერატივის ქარხნის გამგეზე გვწერთ, რომ:

მაისუროვს, ქარხნის გამგეს  
არ შეგვენის ის, რომ  
პროტექციის გადაშვიდე  
ლამაზ ქალებს მკისო.

ალბად მალე „რაც დათესა, მასვე მომკის“. მოსაველი ვერ იქნება მისთვის კარგი, მაგრამ რა ვუყოთ!

**გვაგას** (სამტრედია). მიუხედავად იმისა, რომ ღორსა (და მელორეობას) დღეს განსაკუთრებული დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ეს საქციელი მაინც დაუშვებელია:

ჯერ პირველად ვინახულე  
სასადილო ნომერი ორი.  
შიგ რომ შეხვალთ, მივიღებენ  
მოკრძალებით, როგორც ღორი.

**ბორიას** („ზაკლებუმტრესტი“) ვათავსებთ თქვენს განცხადებას:

„უგზო-უკვლოდ დაიკარგა შრომის ეკ. განყოფილების გამგე. მპოვენელს ვსთხოვთ „მოიტანოს“ ტრესტში, რადგანაც მას ელოდებიან მთხოვენელები“.

ვინ იცის, ეგებ ამ შემთხვევაში დაკარგვა ჯობია. **შაუსტს**. ჩვენ ფოსტა კი არა ვართ, რომ წერილი გიგზავნოთ მშობლებთან.

**კოკის** (აქვე, ინდუსტ. ტეხნიკუმი). ასე იწყება თქვენი ლექსი:

ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში  
სასადილო არის ერთი,  
და შიგ ფეხი რომ გადავით  
ახსენოთ უნდა ღმერთი.

მორწმუნე ხალხის ტარტაროზს არაფერი უნდა. **ბაჩჩილს** (სად. შორაპანი). ოთხწლიდის გამგესა და მასწავლებელზე გვწერთ:


გამგე და მასწავლებელი  
ჩხუბზე არიან ორივე.  
ცოტა რამეზე ჩხუბობენ  
არავინა ჰყავთ მოზავე.

მით უკეთესი, თუ მოზაიი არავინ არის. თავიც უხლიათ ერთმანეთისათვის.

**სტუდენტს** (აქვე): ალბად თქვენც გახსოვთ თქვენი ლექსი: თოვლი და წვიმა, სასტიკად ყინავს.

მზე არ ჩანს ცაზედა, ის აღარ ბრწყინავს. ამაზე მეტი სიცრუე შეიძლება! ასეთი კარგი დარები იშვიათია ზამთრის დასაწყისში!

**ჩემდამტრეისაგან**: ყურ. „ტარტაროზში“ მოთავსებული წერილი ვანო კომახიძის შესახებ ი. სუფსელის ხელისმოწერით, არ ეკუთვნის მეგლაძეს და მოისწრაფე-შვილს.



ს. ს.

— ეშმაკი ხალხია კომუნისტების ომის წინააღმდეგი არიან, და ამავე დროს ომისათვის მზად არიან! მათ რას ნიშნავს ასეთი დიდი აღშენებლობა?!